

- ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმისთვის წინასაპროექტო კვლევის მონაცემთა ცხრილი (მატრიცა)

		ფიზიკური გარემო				
N	მონაცემთა სფერო	მახასიათებელი	განახლების პერიოდი	წყარო	დოკუმენტი	სპეციალისტი
1.	სივრცითი					
1.1.	ორთოფოტოგოგრაფია	<p>ზედა დონეზე - ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის საზღვრებში საშუალო გარჩევადობის ორთოფოტო, ქვედა დონეზე - ქალაქ ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმისთვის მაღალი გარჩევადობის აეროფოტო. პროექცია აგებულია საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემაში. WGS 1984, UTM 37N</p> <ul style="list-style-type: none"> საკოორდინატო ბადე მ 1:10000, ბიჯით 1000მ ინტერეს-წერტილები დასახლებული პუნქტები; გზათა/ქუჩათა ქსელი; კულტურისა და დასვენების; რელიგიურ-საკულტო; ადმინისტრაციული და სხვა დაგეგმარებისთვის მნიშვნელოვანი ობიექტები) გადაღების თარიღი. ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმისთვის ორთოფოტო 03.02.2019; ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმისთვის 25.11.2019 	<p>ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმისთვის ორთოფოტო 03.02.2019; ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმისთვის 25.11.2019</p> <p>ორივე დონისთვის არის ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.</p>	<p>ზედა დონეზე ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმისთვის Google Earth pro“-ს 2019 წლის მარტის მონაცემებით გადაღებული საშუალო გარჩევადობის ორთოფოტო სპეციალური პროგრამის „CAD- Earth“ -ს გამოყენებით.</p> <p>ქვედა დონეზე ცენტრალური ნაწილის მაღალი გარჩევადობის აეროფოტოსთვის ჩატარდა სავალე გადაღება. LIDAR (light Detevtion and Ranging) - სისტემის გამოყენებით დაწყების თარიღი 10/11/2019- დასრულება 23/11 2019</p>	<p>გრაფიკული ნაწილი, რუკა N 3; ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავების მიზნებისთვის მოსამზადებელი კვლევა, დაზუსტებული გეგმარებითი ერთეული, განვითარების ხედვა, განვითარების სტრატეგია და სიცოცხლისუნარიანობის შეფასება. ტექსტური ნაწილი; თავი 4.1, გვ-10</p>	<p>ანი მამულაშვილი, სანდრო გოგოლაძე, LIDAR (light Detevtion and Ranging) -სისტემის გამოყენება- გიორგი კირკიტაძე</p>

1.2.	გეომორფოლოგია, გეოლოგია, საინჟინრო გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია	<p>ზედა დონეზე - სამეგრელოს რეგიონის და ქალაქ ზუგდიდის ზოგადი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, საინჟინრო გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დახასიათება.</p> <p>ქვედა დონე - ქალაქ ზუგდიდში გენერალური გეგმის საზღვრებში ბუნებრივი საფრთხეების შეფასება .</p>	<p>სამეგრელოს რეგიონის და ქალაქ ზუგდიდის ზოგადი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დახასიათება 2011 წწ.</p> <p>განახლების პერიოდი არის 10 წელზე ნაკლები</p> <p>ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის საზღვრებში ბუნებრივი საფრთხეების შეფასება 28.10.19-01.10.19.</p> <p>განახლების პერიოდი არის ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.</p>	<p>ზედა დონე - ბ. ზაუტაშვილი, ბ. მხეიძე, საქართველოს ჰიდროგეოლოგია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2011 წ; რ. გობეჯიშვილი, საქართველოს რელიეფი, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2011 წ.</p> <p>ქვედა დონე - ქ. ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის პროცესში ჩატარებული გეოლოგიური-ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო კვლევები, 2019 წ; მდ. ჩხოუმის ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობის პროექტი 2019 წ.</p>	<p>ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავების მიზნებისთვის მოსამზადებელი კვლევა, დაზუსტებული გეგმარებითი ერთეული, განვითარების ხედვა, განვითარების სტრატეგია და სიცოცხლისუნარიანობის შეფასება. ტექსტური ნაწილი; თავი 4.3 გვ 12-13;</p>	დავით სოზაშვილი
1.3.	სეისმოლოგია	<p>ზედა დონეზე - სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით შეფასდა ქ. ზუგდიდის სეისმური საშიშროების ზონა.</p>	<p>განისაზღვრა ქ. ზუგდიდის სეისმური საშიშროების ზონა. 2009წ.</p> <p>განახლების პერიოდი არის 10 წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.</p>	<p>ზედა დონე- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო ნორმების და წესები - პნ 01.01-09 _ “სეისმომდევითი მშენებლობა” 2009 წ.</p>	<p>ტექსტური ნაწილი; თავი 4.3.3 გვ 12-13;</p>	ნიკო გაფრინდაშვილი

1.4.	კლიმატი	<p>ზედა დონეზე - შესწავლილია ქ. ზუგდიდის კლიმატური მონაცემები: ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, ნალექები, ღრუბლიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება</p>	<p>შესწავლილი იქნა ქ. ზუგდიდის კლიმატური მონაცემები 2008წ.</p> <p>განახლების პერიოდი არის 11 წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.</p>	<p>ზედა დონე- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს ბრძანება №1-1/1743 „დაპროექტების ნორმების სამშენებლო კლიმატოლოგია“.</p>	<p>ტექსტური ნაწილი; თავი 4.5; გვ 16-20;</p>	<p>მერი აბუაშვილი</p>
1.5.	ბუნებრივი ფასეულობები	<p>ზედა დონეზე - ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის საზღვრებში - შეფასდა მცენარეული საფარის ზოგადი მდგომარეობა.</p> <p>ქვედა დონეზე - ქ. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის და ზ. გამსახურდიას ქუჩის ხეივანი - აღიწერა არსებული მცენარეულ სახეობები და მათი მდგომარეობა.</p>	<p>ქ. ზუგდიდის დაცული ტერიტორია და მცენარეული საფარის შეფასება 2005;</p> <p>განახლების პერიოდი არის 14 წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.</p> <p>განხორციელდა ქ. ზუგდიდის ბუნებრივი ფასეულობების საველე შეფასება/კვლევა - 1.11.19 – 14.11.19.</p> <p>განახლების პერიოდი არის ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.</p>	<p>ზედა დონე - ზ. გამსახურდიას ქუჩის 2005 წლის დენდროლოგიური კვლევის პროექტი; საარქივო მონაცემები, კანონმდებლობის ანალიზი.</p> <p>ქვედა დონე - ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები და სამეცნიერო ლიტერატურა</p>	<p>ტექსტური ნაწილი; თავი 4.6; გვ 21-29;</p>	<p>ნინო ცქვიტიშვილი ნიკო გაფრინდაშვილი</p>
1.6.	კულტურული ფასეულობები	<p>ქ. ზუგდიდის ისტორია, არსებული და სარეკომენდაციო კულტურული ძეგლები. საარქივო მასალებიდან</p>	<p>ჩატარდა საველე სამუშაოები შესაბამისად განახლების პერიოდი არის ერთ</p>	<p>საარქივო მასალები; საველე სამუშაოები; გამოყენებული ლიტერატურის სრული ჩამონათვალი იხ. ტექსტურ ნაწილში</p>	<p>ტექსტური ნაწილი; თავი 4.8; გვ 44-85; რუკა N 22</p>	<p>ლალი ანდრონიკაშვილი, თათია ღვინერია, გის უზრუნველყოფა - სანდრო გოგოლაძე</p>

	<p>მოძიებული იქნა ინფორმაცია და ფოტოები,</p> <p>არსებული კულტურული ძეგლების გარდა, დადიანების ბაღი და სასახლე, ქალაქის ძველი სასაფლაო და მამ (ეროვნული მნიშვნელობის კომპლექსი) გამოვლინდა სარეკომენდაციო კულტურული ძეგლები.</p> <p>არსებული და სარეკომენდაციო კულტურული ძეგლებისთვის განისაზღვრა კანონმდებლობით დადგენილი ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალები.</p> <p>საპროექტო არეალში, მოხდა კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტის აღნუსხვა. ქალაქის მემკვიდრეობა, ძირითადათ რამდენიმე მიმართულებით განისაზღვრა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. XIX საუკუნის ბოლო, XX საუკუნის დასაწყისი. ტრადიციული მეგრული საცხოვრის ოდა სახლების სახით; 2. XX საუკუნის I ნახევარი. ე.წ. სააგარაკო სახლი – შელესილფასადიანი, კლასიცისტური თუ მორედნული ელემენტებით; 3. XX საუკუნის შუა ხანა ნახევარი, შედარებით 	<p>წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.</p>			
--	--	-------------------------------------	--	--	--

		თანამედროვე, ე.წ. საბჭოური არქიტექტურა; ქალაქის ურბანული ქსოვილი და განაშენიანება XIX – XX საუკუნით თარიღდება.				
1.7.	ეკოლოგია	ზედა დონეზე - ქ. ზუგდიდის არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება - ქ. ზუგდიდის ჰაერის ხარისხი, ნიადაგის დაბინძურების მდგომარეობა და პოტენციურად მაღალი დაბინძურების რისკის მქონე არეალები, წყლის (მდ. ჩხოლუმის, მისი შენაკადების, სასმელი წყლის ჭების) ხარისხი. ნარჩენებით დაბინძურებული არეალების და ნარჩენების მართვის მდგომარეობა;	ქ. ზუგდიდის მასშტაბით შეფასდა ფიზიკური გარემოს (საცხოვრებელი გარემოს) არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა. 30.10.19-14.11.2019. განახლების პერიოდი არის ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.	ზედა დონე - ჩვენს მიერ ჩატარებული სავლე ვერიფიცირების, სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევები, ქ. ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის პროცესში ჩატარებული წყლის ანალიზის შედეგები; გარემოს ეროვნული სააგენტო - ატმოსფერული ჰაერის ყოველწლიური ინდიკატორული გაზომვები; ქალაქ ზუგდიდის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა; ააიპ ზუგდიდდასუფთავების ცენტრი - ნარჩენების მართვის გეგმა და წლიური ანგარიშები;	ტექსტური <i>ნაწილი; თავი 4.7; გვ 30-42; რუკა N 22-1</i>	კახა ბახტაძე ნიკო გაფრინდაშვილი ლევან ზაზაძე გის უზრუნველყოფა - მართა თოდუა
1.8.	გეგმარებითი ერთეულის საერთო ფართობი	2143,5 ჰა	—	გეგმარებითი ერთეულის ფართობი აღებულია ქ. ზუგდიდის არსებული	ტექსტური <i>ნაწილი; თავი 3,4; გვ 9</i>	ვაჟა კუხიანიძე, ანი მამულაშვილი გის უზრუნველყოფა - სანდრო გოგოლაძე

				მიწათსარეგბლობის გეგმის საზღვრის მიხედვით		
1.9.	მიწათდაფარ ულობა	მიწათდაფარულობა 1. საცხოვრებელი; 2. სპეციალური (სკოლები, ბაღების, სამედიცინო დაწესებულებები და სხვა) 3. შერეული 4. ინდუსტრიული 5. სასოფლო-სამეურნეო 6. გამწვანებული ტერიტორია 7. ლანდშაფტი 8. გაურკვეველი 9. სასაფლაო 10. გზები, ქუჩები მოედნები 11. მდინარე	დაკვივრების მიზნებისთვის: ჩატარდა სავლე სამუშაოები; ასევე გამოყენებულ იქნა 03.02.2019 ორთოფოტო და ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის მაღალი გარჩევადობის აეროფოტოგადაღება 25.11.2019.; ინფორმაციის დასაზუსტებლად ადგილობრივი მოსახლების ჩრთულობა; 2018 წლის საჯარო რეესტრის მონაცემები; განახლების პერიოდი არის ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.	სავლე სამუშო; საჯარო რეესტრი; ორთოფოტო; აეროფოტო.	გრაფიკული ნაწილი; რუკა N 8 ტექსტური ნაწილი; თავი 4.11; გვ 100	ანი მამულაშვილი გის უზრუნველყოფა - სანდრო გოგოლაძე, მართა თოდუა
1.10.	მიწათდაფარ ულობის შესაბამისი ტერიტორიებ	საცხოვრებელი - 1154,73ა სპეციალური (სკოლები, ბაღების, სამედიცინო დაწესებულებები და სხვა) -31,7 ჰა შერეული - 85,3 ჰა	მსგავსად მიწათდაფარულობი სა	მიწათდაფარულობა	გრაფიკული ნაწილი; რუკა N 8 ტექსტური ნაწილი; თავი 4.11; გვ 100	ანი მამულაშვილი გის უზრუნველყოფა - სანდრო გოგოლაძე, მართა თოდუა

	ის ფართობები	ინდუსტრიული (სამრეწველო) – 162,2 ჰა სასოფლო-სამეურნეო -158,7 ჰა გამწვანებული ტერიტორია - 51,8 ჰა ლანდშაფტი - 63,2 ჰა გაურკვეველი -96,0 ჰა სასაფლაო - 29,8 გზები, ქუჩები მოედნები -287,3 ჰა მდინარე -22,8 ჰა				
1.11.	დასახლებული (ზედა დონზე) / ნაშენი (ქვედა დონე) ტერიტორიების ფართობი	სივრცის დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მიხედვით თავი 1 ზოგადი დებულება, მუხლი N2 ნაშენი ტერიტორია – ტერიტორია, რომელზეც უმეტესწილად განლაგებულია შენობა-ნაგებობები, წარმოადგენს განაშენიანებულ სტრუქტურას (მაგ.: კვარტალი, მიკრორაიონი, საცხოვრებელი უბანი, სოფელი) ან მის ნაწილს და უზრუნველყოფილია გზებით/ქუჩებით; მოიცავს მთლიანად დასაგეგმარებელი ერთეულს და ფართობი შეადგენს 2143,5 ჰა	მსგავსად მიწათდაფარულობისა	მიწათდაფარულობა	ტექსტური ნაწილი; თავი 3,4; გვ 9	ანი მამულაშვილი
1.12.	დაუსახლებელი (ზედა დონზე) / უშენი (ქვედა დონე) ტერიტორიების ფართობი	უშენი ტერიტორია – დასახლების ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება ნაშენ ტერიტორიას, უმეტესად მწვანე საფართო და დაფარული და 300 მეტრის რადიუსში არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობა; დასაგეგმარებელ არეალში 300 მ რადიუსში ყველგან არის შენობა ნაგებობა განთავსებული, შესაბამისად უშენი ტერიტორია არ ისაზღვრება .	მსგავსად მიწათდაფარულობისა	მიწათდაფარულობა		ანი მამულაშვილი

1.13.	საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე	სულ ტერიტორიაზე არის 13113 საცხოვრებელი ერთეული. 1 ჰა =6,2 საცხოვრებელი ერთეული	5 წელზე დაკლები	სტატისტიკის 2014 წლის ოფიციალური მონაცემები		
1.14.	განაშენიანების სტრუქტურისა და ფუნქციური დანიშნულების კვლევა	განაშენიანება ძირითადად არის დაბალი ინტენსიობის ორ სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. ცენტრალური ნაწილში ბულვარის გაწვრივ გვხვდება 4-5 სართულიანი სახლები შერეული ფუნქციით. ქალაქის შემოგარენში არაკონცენტრირებულად ძირითადად ახალი მშენებლობების სახით არუს მაღლივი საცხოვრებელი სახლები.	დაკვივრების მიზნებისთვის: ჩატარდა საველე სამუშაოები;	საველე სამუშაოები; ადგილობრივი კონსულტანტის მიერ მოწოდებულ ინფორმაცია.	ტექსტური ნაწილი; თავი 4.12; გვ 101, 104 გრაფიკული ნაწილი; რუკა N 9, 10,11,12,	ანი მამულაშვილი, ანი წიქორიძე, ანი მდინარაძე, ეკა თოდუა გის უზრუნველყოფა - სანდრო გოგოლაძე, მართა თოდუა
2.	ინფრასტრუქტურა					
2.1.	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საზღვრის ფარგლებში საერთაშორისო მნიშვნელობის გზის სიგრძე შეადგენს 25 კმ-ს (ცაცხვი-ენგურის ხიდი); შიდასახემწიფოებირვი მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძე შეადგენს 118 კმ-ს; მათ შორის : ზუგდიდი-კორცხელი-ნაცატუს გადასახვევამდე 15 კმ; ზუგდიდი-ჩხორია-ლიას საზღვარი 17 კმ; ზუგდიდი-ანაკლია 34 კმ; დარჩელი - განმუხური 14 კმ; ზუგდიდი ჯიხაშკარი 15 კმ; ზუგდიდი-ნარაზენი-ჭაქვინი 23 კმ; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ავტოტრანსპორტის	ჩატარდა საველე სამუშაოები შესაბამისად განახლების პერიოდი არის ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.		ტექსტური ნაწილი; თავი 4.12.5; გვ 105,109 გრაფიკული ნაწილი; რუკა N 13, 13.1, 14, 15, 16, 17 დანართი 8	ანი მამულაშვილი, ეკა თოდუა, მუთაზ ქანთარია გის უზრუნველყოფა - სანდრო გოგოლაძე, მართა თოდუა; ლიკა ჟვანია

		<p>სავალი ნაწილი ასფალტირებულია, ასფალტირებული ქუჩების საერთო სიგრძე დაახლოებით 100 კმ აჭარბებს, აღდგენა - რეაბილიტაციას ექვემდებარება ძველი ასფალტირებული დაახლოებით 40 კმ სიგრძის დაზიანებული ქუჩების მონაკვეთები . ხოლო მოხრეშილი გზის საერთო სიგრძე აღემატება 65 კმ-ს. ქალაქის ტერიტორიაზე 246 ქუჩა, 136 შესახვევი და 43 ჩიხია. ქალაქში მდებარე მდინარე ჩხოუშია“-ზე არსებობს 4 სავტომობილო და 5 საფეხმავლო ხიდი. ქალაქის ტერიტორიაზე არის მხოლოდ ერთი ესტაკადა (სოხუმის ქუჩაზე), რომლის ქვეშაც გადის დაბა ჯვარისკენ მიმავალი რკინიგზა.</p> <p>ქალაქის განტვირთვის მიზნით არსებობს ერთადერთი მოწესრიგებული შემოვლითი გზა შოთა ხუბულავას ქუჩა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს თბილისის მიმართულებისა და ანაკლიის მიმართულების გზებს, კერძოთ აღმაშენებლისა და რუსთაველის ქუჩებს. ასევე არსებობს შემოვლითი გზა თბილისის მიმართულებიდან ნარაზენის მიმართულებით მოძრავი სატრასპორტო საშუალებებისათვის (ბარამიას ქუჩა), რომელიც ამჟამად</p>				
--	--	--	--	--	--	--

		<p>დაზიანებულია და პრაქტიკულად გაუვალია.</p> <p>მგზავრთა მომსახურების სფეროში, საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ავტობუსი, მიკროავტობუსი და ტაქსი) ხელმისაწვდომია. ქალაქში მგზავრთა გადაყვანას ემსახურება მუნიციპალური საშუალო ტევადობის 14 ავტობუსი, 6 რეგულარულ საქალაქო მარშრუტზე. ავტობუსებს შორის ინტერვალი პიკის საათებში 8 წუთია, ხოლო დანარჩენ დროს 10 წუთი. დანარჩენ 30 საქალაქო მარშრუტს ემსახურებიან ინდემწარმე სუბიექტები მიკროავტობუსებით, მათი რაოდენობა ყოველდღიურად შეადგენს 39-40 ერთეულს. ამრიგად შიდა საქალაქო მარშრუტზე ყოველდღიურად დასაქმებულია 54 სამგზავრო ტრასპორტი .</p> <p>საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მოსახლეობისთვის უმეტესად 5-10 წუთის მანძილზე მდებარეობს. ავტობუსის გაჩერებები და მათთან</p> <p>საფეხმავლო მისაწვდომობის თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით, შემუშავდა სამი რუკა (იხ გრაფიკული ნაწილი რუკა N15; N16; N17)-საზოგადოებრივი ტრანსპორტის, საჯარო სკოლების</p>				
--	--	--	--	--	--	--

		<p>და საჯარო საბავშვო ბაღების საფეხმავლო მისაწვდომობა. აღნიშნულისთვის გამოყენებული იქნა GIS სისტემა, კერძოდ Network Analyst მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მომსახურების არეალებს და მათთან მისაწვდომ ქუჩათა ქსელს. მისაწვდომობა თავის მხრივ გულისხმობს თუ რამდენად ადვილია კონკრეტულ დანიშნულების ადგილამდე მისვლა და იგი იზომება ისეთი პარამეტრებით როგორც არის - გასავლელი მანძილი და ამ მანძილის დაფარვის დრო. სამივე რუკის შემთხვევაში გამოვიყენეთ 5, 10, 15 და 20 წუთიანი ინტერვალები, ხოლო მანძილი შესაბამისად 250 მ, 500 მ, 750 მ და 1000 მ.</p> <p>საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მოსახლეობისთვის უმეტესად 5-10 წუთის მანძილზე მდებარეობს. ავტობუსის გაჩერებები და მათთან მისაწვდომობის მაჩვენებელი თანაბრად არის განაწილებული როგორც ცენტრალურ, ასევე საგარეუბნო არეალებში, შესაბამისად მაღალია საფეხმავლო მისაწვდომობა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე.</p> <p>იმ ტერიტორიებზე, სადაც საჯარო სკოლები და ბაღებია განთავსებულ, მანძილის</p>				
--	--	--	--	--	--	--

		ზრდასთან ერთად მცირდება საფეხმავლო მისაწვდომობაც. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია მდინარის გასწვრივ, რაც ხიდების სიმცირით შეიძლება აიხსნას. უშუალოდ ამ კონკრეტული შენობების ირგვლივ ძირითადად 5 წუთიანი ინტერვალები გვხვდება. არის ქალაქის არეალები სადაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა და შესაბამისად საფეხმავლო მისაწვდომობა არ არსებობს.				
2.2.	საინჟინრო ინფრასტრუქტურა	<p>წყალმომარაგება: ზუგდიდის წყალმომარაგების ახალი სისტემის მშენებლობა ფინალურ ეტაპზეა. მოწყობილია წყალამღები და სატუმბი სადგური (ინგირში), რეზერვუარები (ბაშში), მაგისტრალური მილსადენები და მიმდინარეობს გამანაწილებელი ქსელის მოწყობა, რის შემდეგაც ქ. ზუგდიდი უზრუნველყოფილი იქნება 24 სთ-იანი წყალმომარაგებით. დეტალური ინორმაცია იხ. ტექსტურ (გვ-54-64) და გრაფიკულ ნაწილში (რუკა N 19.1)</p> <p>თხევადი ნარჩენები (კანალიზაცია): ამჟამად ქალაქ ზუგდიდის საკანალიზაციო და სანიაღვრე წყლები ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარეში. დღეისათვის ხორციელდება კანალიზირების პროექტი, რომლიც ასევე მოიცავს</p>	განახლების პერიოდი არის ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.	ქ. ზუგდიდის მერია	ტექსტური ნაწილი; თავი 4.13 გვ 112; 123 გრაფიკული ნაწილი; რუკა N 18,19,20, 21	გიორგი ჩხეიძე, ნიკო გაფრინდაშვილი ლევან ზაზაძე ანი მამულაშვილი გის უზრუნველყოფა - სანდრო გოგოლაძე, მართა თოდუა;

		<p>გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას, აღნიშნული სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. კანალიზაციის ქსელში ჩართული იქნება თითქმის ყველა შენობა-ნაგებობა. სამეურნეო-ფეკალური სითხე გაწმენდის შემდეგ ჩაედინება მდ. ჩხოლშიაში. ახალი ქსელი შესაბამისობაში იქნება ზუგდიდის 2040 წლის პროგნოზული მოსახლეობის რაოდენობის მოსამსახურებლად. (იხ. გრაფიკული ნაწილი რუკა N 20)</p> <p>სანიაღვრე ქსელი</p> <p>ქალაქის უმეტეს ნაწილში სანიაღვრე ქსელი მოწყობილია როგორც ღია არხების, ასევე დახურული კოლექტორების სახით. მათი საშუალებით მოსული ნალექები იკრიბება და ჩაედინება მდინარე ჩხოლში. მონაკვეთებზე, სადაც არ არსებობს ან ვერ ფუნქციონირებს სანიაღვრე ქსელი, მუნიციპალური სამსახურის მიერ, ეტაპობრივად ხორციელდება მისი მშენებლობა/განახლება. ხშირად ხდება სანიაღვრე ქსელის ამოვსება/გაჭედვა და შედეგად საცხოვრებელი სახლების დატბორვა. არსებული ქსელი საჭიროებს მოწესრიგებას (ღია არხების დახურვას და წმენდას ან ახალი სათანადო ეფექტური</p>				
--	--	---	--	--	--	--

	<p>ქსელის მოწყობას), ხოლო ტერიტორიები, სადაც არ არსებობს სანიაღვრე სისტემები მოითხოვს მის მშენებლობას.</p> <p>ნარჩენების მართვა</p> <p>ქალაქ ზუგდიდში შეგროვებული მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება სოფ. დიდინემის ტერიტორიაზე არსებულ მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელზე ხდება (საკადასტრო კოდი: 43.26.42.004), რომელსაც შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ მართავს. ზუგდიდს არ გააჩნია ოფიციალური ნაგავსაყრელი ინერტული ნარჩენებისთვის, რაც მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ პრობლემას წარმოადგენს. ქ. ზუგდიდის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მომსახურება უზრუნველყოფილია 100 % - ით. ქალაქ ზუგდიდში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელია ქალაქ ზუგდიდის მერია და მის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“. დეტ. ინფორმაცია იხ. ტექსტურ ნაწილში (გვ 65-67)</p> <p>ელექტრობა</p> <p>დღეს არსებული მდგომარეობით ქალაქის ტერიტორიაზე</p>				
--	--	--	--	--	--

		<p>განთავსებულია 5 ქვესადგური და 500 მდე ტრასფორმატორი.</p> <p>ელექტროსადენების 90 % გაყვანილია საჰაერო გზით, ხოლო 10 % (ძირითადად ცენტრალურ ქუჩების ნაწილზე) ხაზოვანი ნაგებობა მიწისქვეშ არის განთავსებული. რაც მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის ძლიერი ქარის წვიმისა თუ თოვლის დროს, ვინაიდან ხშირად ხდება საჰაერო სადენების დაზიანება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს. ასევე დაზიანების შემთხვევაში ხშირად არ მიეწოდება ელექტროენერგია მოსახლეობის ნაწილს.</p> <p>ბუნებრივი აირი</p> <p>ქ. ზუგდიდი მთლიანად გასიფიცირებულია. ქ. ზუგდიდის ბუნებრივი აირით მომარაგების რუკა მომზადდა კომპანია „Socar Georgia gas“-ის მიერ მოწოდებული ინფომაციის საფუძველზე. ქალაქი მთლანად გასიფიცირებულია.</p>				
2.3.	სოციალური ინფრასტრუქტურა	<p>ქ. ზუგდიდის ტერიტორიაზე გამოვლენილია შემდეგი ფუნქციის შენობა-ნაგებობები: ადმინისტრაციული -3; სკოლა -12; საბავშვო ბაღი -16; უნივერსიტეტი/კოლეჯი -3; მოსწავლეთა სასახლე-1; ეკლესია -9; ჯანდაცვის ობიექტები -5;</p>	განახლების პერიოდი არის ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის.	საველე სამუშაოები, ადგილობრივი კონსულტანტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია; ზუგდიდის მერია;	ტექსტური ნაწილი; თავი 4.12.4 გვ. 104 გრაფიკული ნაწილი; რუკა N 9	

		კულტურის -3; სასპორტო -26; ავტოსადგური - 2; სახანძრო- სამაშველო, სასწრაფო, პოლიცია - 9; ინტერეს წერტილები იხ. გრაფიკულ ნაწილში რუკა N 9				
3.	სოციალურ-ეკონომიკური					
3.1.	მოსახლეობის რაოდენობა	<p>სამეგრელო ზემო სვანეთის მოსახლეობის რაოდენობა და ასაკობრივი განაწილება 2014 წლის აღწერის მონაცემებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის რაოდენობა - 330'761 <p>მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • 0-4 – 6.1% ანუ 20'015 კაცი • 5-19 – 16.2% ანუ 53'540 კაცი • 20-65 – 60.7% ანუ 200'880 კაცი • 65+ - 17.0% ანუ 56'326 კაცი <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის რაოდენობა 2019 წელს - 101'815 კაცი • მოსახლეობის ზრდის ტემპი 2010-2019 წლებში - -2,2% <p>ქ. ზუგდიდი</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის რაოდენობა 2017 წელს - 42'734 კაცი <p>ქალაქი ზუგდიდი 2014 წლის საყოველთაო აღწერის შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლის საყოველთაო აღწერის შესაბამისად: 42998 ადამიანი • სკოლამდელი ასაკის მაცხოვრებელი: 3350 ადამიანი; 	<p>მოცემულ პუნქტში წარმოდგენილი ინფორმაციის ერთი ნაწილის განახლების პერიოდი წარმოდგენილია 10 წლის, ხოლო მეორე ნაწილის განახლების პერიოდს წარმოადგენს 1 წლის ვადა</p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014“</p>	<p>ტექსტური ნაწილი; თავი 5.1.3; გვ 132-133</p>	ზაზა ბარბაქაძე

		სკოლის ასაკის მაცხოვრებელი: 6343 ადამიანი				
3.2.	სოციალური მდგომარეობა	<p>სამეგრელო ზემო სვანეთში 2018 წელს:</p> <ul style="list-style-type: none"> • უმუშევარი- 21'278, უმუშევრობის დონე - 11.9%; • დასაქმებული - 158'019, დასაქმების დონე - 67,6%; <p>ქ. ზუგდიდი 2018 წელი:</p> <ul style="list-style-type: none"> • პენსიის მიმღები - 13'519 ადამიანი; • სოციალური პაკეტის მიმღები - 2'236 ადამიანი; <ul style="list-style-type: none"> • საარსებო შემწეობის მიღებიაზე რეგისტრირებული ოჯახები - 4174 ოჯახი; • საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახები - 2'148 ოჯახი; <p>ქალაქი ზუგდიდი 2014 წლის საყოველთაო აღწერის შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> • უმუშევართა რაოდენობა: 5114 ადამიანი • დასაქმებულთა რაოდენობა: 11483 ადამიანი <p>სოციალური დახმარების და ბენეფიციართა რაოდენობა: 24546 ადამიანი</p>	<p>მოცემულ პუნქტში წარმოდგენილი ინფორმაციის ერთი ნაწილის განახლების პერიოდი წარმოდგენილია 10 წლის, ხოლო მეორე ნაწილის განახლების პერიოდს წარმოადგენს 1 წლის ვადა</p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014“</p> <p>საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტო</p>	<p>ტექსტური ნაწილი; თავი 5.1.4; გვ 137-145</p>	ზაზა ბარბაქაძე
3.3.	კრიმინოგენული ვითარება	<p>ქალაქ ზუგდიდში კრიმინოგენული მდგომარეობის ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა დანაშაულის რაოდენობაზე დაკვირვების მეთოდი. 2015 წლიდან 2019 წლამდე პერიოდის მანძილზე ჩადენილი დანაშაულების</p>	<p>მონაცემთა განახლების პერიოდი წარმოდგენილია 1 წლის ვადით</p>	<p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (ზუგდიდის რაიონული სამმართველო)</p>	<p>ტექსტური ნაწილი; თავი 5.1.6; გვ 150-151</p>	ზაზა ბარბაქაძე

		<p>რაოდენობაზე დაკვირვებით შეფასდა ქალაქ ზუგდიდის კრიმინოგენული მდგომარეობა.</p> <p>ქ. ზუგდიდში 2019 წელს სამართალდარღვევების რაოდენობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქურდობა - 258; • ძარცვა - 8; • ყაჩაღობა - 5; • თაღლითობა - 31; • გამოძალვა - 4; • ნივთის დაზიანება - 35; სხვა დანარჩენი - 35. 				
3.4.	განათლება	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2018-2019 სასწავლო წლებში:</p> <ul style="list-style-type: none"> • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება - 62 • სკოლა - 57 • სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება - 9 • უმაღლესი სასწავლებელი - 1 <p>ქალაქ ზუგდიდში საგანმანათლებლო დაწესებულებები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:</p> <ul style="list-style-type: none"> • სკოლების რაოდენობა: 12 • საბავშვო ბაღების რაოდენობა: 17 • უმაღლესი და პროფესიული დაწესებულებები: 4 სხვა ტიპის სკოლები/ცენტრები: 5 <p>10 წლის და უფროსი ასაკი მოსახლეობის რიცხოვნობა განათლების მიღწეული დონის მიხედვით ქ. ზუგდიდში 2014 წლის აღწერის შედეგებით:</p>	<p>მონაცემთა განახლების პერიოდი წარმოდგენილია 1 წლის ვადით</p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური</p>	<p>ტექსტური ნაწილი; თავი 5.1.3; გვ. 134-136 თავი 5.1.5 გვ. 147-148</p>	<p>ზაზა ბარბაქაძე</p>

		<ul style="list-style-type: none"> • უმაღლესი - 28.4% ანუ 10'658 კაცი; • პროფესიული - 20.0% ანუ 7'517 კაცი; • სრული ზოგადი განათლება (საშუალო) – 37.7% ანუ 14'166 კაცი; • ზოგადი განათლების საბაზო საფეხური - 5.0% ანუ 1'876 კაცი; • ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური - 4.7% ანუ 1'766 კაცი; • არ აქვს დაწყებითი განათლება, მაგრამ შეუძლია წერა კითხვა - 2.7% 1'032 კაცი; • წერა-კითხვის უცოდინარი - 0.1% ანუ 33 კაცი 				
3.5.	იძულებით გადაადგილებას	<p>დევენილების რაოდენობა სამეგრელო-ზემო სვანეთში 2014 წლის აღწერის შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> • დევნილების რაოდენობა სულ - 47'298 <p>მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტონომიური რესპუბლიკა - 99,9% • ცხინვალის რეგიონი - 0,1% <p>ქალაქ ზუგდიდში იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა შეადგენს 11042 ადამიანს</p>	მონაცემთა განახლების პერიოდი წარმოდგენილია 10 წლის ვადით - საყოველთაო აღწერის შესაბამისად	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	ტექსტური ნაწილი; თავი 5.1.3; გვ. 136-137	ზაზა ბარბაქაძე
3.6.	მოსახლეობის სიმჭიდროვე	<p>ქ. ზუგდიდი</p> <ul style="list-style-type: none"> • 2017 წელს საერთო სიმჭიდროვე - 196 კაცი/ჰა • 2017 წელს ნაშენი გარემოს სიმჭიდროვე - 196 კაცი/ჰა • 2018 წელს, საერთო სიმჭიდროვე - 194 კაცი/ჰა 	მონაცემთა განახლების პერიოდი წარმოდგენილია 1 წლის ვადით	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ანალიზის შედეგად	ტექსტური ნაწილი; თავი 5.1.3; გვ. 130-131	ზაზა ბარბაქაძე

		<ul style="list-style-type: none"> • 2018 წელს, ნაშენი გარემოს სიჭიდროვე - 194 კაცი/ჰა • 2019 წელს საერთო სიჭიდროვე - 192 კაცი/ჰა • 2019 წელს ნაშენი გარემოს სიჭიდროვე - 192 კაცი/ჰა 				
უფლებრივი გარემო						
N	მონაცემთა სფერო	მახასიათებელი	განახლების პერიოდი	წყარო		
4.	საკადასტრო მონაცემები					
4.1.	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების მონაცემები	ქ. ზუგდიდის ოფიციალური საზღვრების შესახებ ინორმაცია გამოვითხოვეთ როგორც ზუგდიდის მერიიდან ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ამ ეტაპისთვის არ მიგვიღია.	—	საჯარო რეესტრი		
4.2.	დაცული და/ან სპეციალური ტერიტორიების საზღვრების მონაცემები	დაცული ტერიტორია ქ. ზუგდიდის საზღვრებში არ არსებობს.	—	საჯარო რეესტრი		
4.3.	მიწის ნაკვეთების მონაცემები	ქ. ზუგდიდის მიწის ნაკვეთების მონაცემების შესახებ ინორმაცია გამოვითხოვეთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ამ ეტაპისთვის არ მიგვიღია. კველევითვის გამოყენებულია 2018 წლის მაისის მონაცემები	ერთ წელზე მეტი ხანდაზმულობის	საჯარო რეესტრი	ტექსტური ნაწილი; თავი 4.10 გვ. 98 გრაფიკული ნაწილი; რუკა N 7	ანი მამულაშვილი გის უზრუნველყოფა - სანდრო გოგოლაძე, მართა თოდუა;
5.	სამართლებრივი აქტების მონაცემები					
5.1.	სივრცის დაგეგმარების და	ინდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია:	მოცემულია 2019 წლის 30 ნოემბრის მონაცემებით,	სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს	დოკუმენტის ქვეთავი - 7.1 გვ 177, 181	კოკა კილურაძე

<p>ქალაქთმშენებლობითი გეგმების მოთხოვნები</p>	<p>საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“</p> <p>საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება, ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ</p> <p>საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილება „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის №19 დადგენილება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“</p>	<p>გადამოწმების პერიოდი კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად, ოფიციალურ პორტალზე www.matsne.gov.ge</p>	<p>ოფიციალური გვერდი www.matsne.gov.ge</p> <p>აქტების რეგულირების სფეროს, პრინციპების, მიზნების და ამოცანების შესახებ იხილეთ დოკუმენტის მე-7 თავში</p>		
---	--	---	---	--	--

5.2.	დარგობრივი გეგმების მოთხოვნები	<p>ინდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია:</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018-19-20-21 წლების სტრატეგიული გეგმა</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია</p> <p>სტრატეგია-2019-2022</p> <p>ქალაქ ზუგდიდის ენერჯეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა</p>	<p>მოცემულია 2019 წლის 30 ნოემბრის მონაცემებით, გადამოწმების პერიოდი კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად, ოფიციალურ პორტალზე www.zugdidi.mun.gov.ge</p> <p>მოცემულია 2019 წლის 30 ნოემბრის მონაცემებით, გადამოწმების პერიოდი კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად, ოფიციალურ პორტალზე www.remissia.ge</p>	<p>გამოქვეყნებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე იხილეთ ლინკი http://zugdidi.mun.gov.ge/ge/municipalitetis-prioritetebi-strategiebi-da-samokmedo-gegmebi</p> <p>იხილეთ შესაბამისი ლინკი http://remissia.ge/uploads/other/0/928.pdf</p>	<p>დოკუმენტის ქვეთავი - 7.1 გვ 177, 181</p>	<p>კოკა კილურაძე</p>
5.3.	კანონების/კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები	<p>ინდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია:</p> <p>საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“</p>	<p>მოცემულია 2019 წლის 30 ნოემბრის მონაცემებით, გადამოწმების პერიოდი კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად, ოფიციალურ პორტალზე www.matsne.gov.ge</p>	<p>სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური გვერდი www.matsne.gov.ge</p> <p>აქტების რეგულირების სფეროს, პრინციპების, მიზნების და ამოცანების შესახებ იხილეთ დოკუმენტის მე-9 თავში</p>	<p>დოკუმენტის ქვეთავი - 7.1</p>	<p>კოკა კილურაძე</p>

	<p>საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“</p> <p>საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“</p> <p>საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ</p> <p>საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ</p> <p>საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“</p>				
--	---	--	--	--	--

		<p>საქართველოს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“</p> <p>საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 თებერვლის №6 დადგენილება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 თებერვლის №7 დადგენილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და</p>				
--	--	---	--	--	--	--

		<p>ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №97 დადგენილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №51 დადგენილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ</p>				
5.4.	ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები	<p>ინდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტები:</p> <p>საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №256 დადგენილება, სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროებითი წესის შესახებ</p> <p>საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილება ტექნიკური</p>	<p>მოცემულია 2019 წლის 30 ნოემბრის მონაცემებით, გადამოწმების პერიოდი კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად, ოფიციალურ პორტალზე www.matsne.gov.ge</p>	<p>სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური გვერდი www.matsne.gov.ge</p> <p>შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს, პრინციპების, მიზნების და ამოცანების შესახებ იხილეთ დოკუმენტის მე-9 თავში</p>	<p>დოკუმენტის ქვეთავი - 7.1</p>	<p>კოკა კილურაძე</p>

		<p>რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ</p> <p>საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, დამტკიცებულია თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილება მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №71 დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილება საქართველოს</p>				
--	--	--	--	--	--	--

		<p>ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის № 41 დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე</p>				
6.	დაინტერესებულ პირთა მონაცემები					
6.1.	დაინტერესებული პირთა მოსაზრებები	<p>შემდეგ ეტაპზე დაგეგმილია ფოკუს ჯგუფების შექმნა და მათი მოსაზრებების გაცნობა, რათა გათვალისწინებული იქნას ყველა დაინტერესებული ჯგუფის მოსაზრება და უზრუნველყოფილი იქნას მათი ჩართულობა.</p>		სოციოლოგიური კვლევა, მათ შორის ინტერნეტ მეთოდით.		
6.2.	სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებები	<p>სახელმწიფო და ადგილობრივ ხელისუფლებასთან პირველი ეტაპის წარდგენის და გაცნობის შემდგომ დაიგეგმება შეხვედრები და მათი მოსაზრებები იქნება გათვალისწინებული შემდგომ ეტაპებზე.</p>				